ნეტა რას სტირი, დედილო?

[აღა-მაჰმად-ხანის დროის]

ნეტა რას სტირი, დედილო?
რას ჩამომჯდარხარ კერასა?
ასი მკრან გულში მირჩევნის,
მტირალი ქალის ცქერასა!

ნეტა რას სტირი, დედილო?
რას სტირი, ძუძუს ჭირიმე?
ჯარს იძახიან, დედილო, -
სად არის ჩემი ხირიმი?

თათარი შემოგვსევია,
სწოვს და აოხრვბს ქვეყანას,
ე-მა ქოხს თავზე დაგვაქცევს,
ვენახს მოგვითელს და ყანას.

ნეტა რას სტირი, დედილო? -
რა დროს გლოვაა შვილისა?
გულში მკრეს, ორგან გახვრიტეს
ჩემი პერანგი შილისა.

ნეტა რას სტირი, დედილო?
დეე აქ ვეგდო ღელოში,
ხომ ვერა ჰნახავ ურჯულოს,
ვეღარსად საქართველოში?

ნეტა რას სტირი, დედილო?
ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ,
მე აქ ვიგკრებ ყვავ-ყორანს,
თვალი მიჭირავს იმათკენ...

ნეტა რას სტირი, დედილო?
სახლზედ იყავი ფრთხილადა,
ირმა ხარს მოუარევი,
მარილს ალოკე ხილადა.

ყანა გამარგლეთ ბეჯითად,
არ მოერიოს ჭიოტა,
ე პაწა არ დამიმშიოთ,
ფოცხვერს არ დამიჭმიოთა!..

ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა,
ბალღია, ამიტირდება.
შობამდის დავავიწყდები,
აღდგომას გამიფრინდებას.

ნეტა რას სტირი, დედილო?
რას ჩამომჯდარხარ კერასა?
ასი მკრან გულში, მირჩევნის,
მტირალი ქალის ცქერასას.

1881 წ.